სსიპ ეროვნული
სატყეო სააგენტო

29 ივლისი 2025

GOV N 1881/ს

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსებისთვის ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით N 628 ელექტრონული აუქციონის განმეორებით (2) გამოცხადების შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 64-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი“-ს მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თ) ქვეპუნქტის, 79-ე, 83-ე და 86-ე მუხლების, ასევე, შპს „მაგთიკომი“-ს 2024 წლის 02 დეკემბრის N24/12/02-001 და 2025 წლის 15 მაისს NED- 25/05/15-001; 2025 წლის 22 ივლისის NED- 25/07/22-008 წერილებისა და ტყითსარგებლობის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 24 ივლისის N13055 მოხსენებითი ბარათის და 2025 წლის 16 ივნისის N1177/ს ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსებისათვის, ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით შემდეგ ობიექტებზე (დანართი N1.1):

ა) სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო) რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურის, ამბროლაურის სატყეო უბნის, სხვავის სატყეოს კვარტალ N 15-ში/ლიტერ N 10-ში მდებარე 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ N86.14.21.591);

ბ) სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო) კახეთის სატყეო სამსახურის, საგარეჯოს სატყეო უბნის, უჯარმის სატყეოს კვარტალ N-25-ში; ლიტერ N-7-ში მდებარე 200 კვმ. (ს/კ N 55.50.51.004.012) მიწის ნაკვეთი.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესები, ტყითმოსარგებლის ზოგადი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ფინანსურ დეპარტამენტს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს სსიპ "ეროვნული სატყეო სააგენტოს" ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება.

5. ეს ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის #34) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა ცერცვაძე

სააგენტოს უფროსი

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო